ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №62

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ქუთაისი „01" „აპრილი" 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **შპს „პარკინგსერვისი"**(შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი სარიშვილის სახით და მეორე მხრივ, **ფ/პ "დავითი ნასარიძე"**, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, **ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე**, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანია: შპს „პარკინგსერვისი"-ს კუთვნილი მოპედების, ქ. თბილისიდან ქ. ქუთაისში გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.4 CPV კოდი: 63110000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 187.5 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს საშემოსავლოს ჩათვლით.

3.2 მომსახურების ფასი და ხელშეკრუელების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს რაც დაკავშირებულია მომსახურების განევასთან, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3 დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები.

4. მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ: ქ. თბილისიდან ქ. ქუთაისში, შპს „პარკინგსერვისის" კუთვნილი მოპედების გადაზიდვის მომსახურება.

4.2 მომსახურების განევის ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღე, 2016 წლის 3 აპრილის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე და უსაფრთხოებაზე, მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „პარკინგსერვისის თანამშრომლები.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1 მომსახურების მიღება ნარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.
7.2 მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.3 მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე შპს „პარკინგსერვისის" მხრიდან უფლებამოსილი პირია დირექტორი ირაკლი სარიშვილი.

8. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)
8.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ლარებში
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
9.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 _ ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.
9.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის, ასევე მომსახურების გაწევის წესების დარღვევისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურების გაწევის წესების დარღვევისთვის, მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვა დაიწყება შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოფხვრისათვის მიცემული გონივრული ვადის გასვლიდან ხარვეზების აღმოფხვრამდე.
10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
10.4 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.
შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი.
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან და მოქმედებს 2016 წლის 5 მაისის ჩათვლით.

13.სხვა პირობები

13.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან.
13.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
13.3 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან", 1 (ერთი) ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან".

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს „პარკინგსერვისი"

მის: ქ. ქუთაისი, გუგუნავას #2

ს/კოდი: 412711230

ს/ს „თიბისი ბანკი" ქუთაისის ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE67 TB79 0693 6080 1000 06

დირექტორი

ირაკლი სარიშვილი

მიმწოდებელი:

ფ/პ „დავითი ნასარიძე"

მის: ქუთაისი, ბროსეს #9

საიდენტიფიკაციო კოდი: 60002009202

ს/ს ,თიბისი ბანკი"

კოდი: TBCBGE22

ანგ. № GE53 TB78 1424 5063 6000 37

დავითი ნასარიძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი 1 აპრილი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ **ფ/პ „დავით ნასარიძე“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), და მეორეს მხრივ შპს „პარკინგსერვისი“, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი სარიშვილის სახით („შემსყიდველი) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 1 აპრილის №62-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შპს „პარკინგსერვისი“-ს კუთვნილი მოპედების, ქ. თბილისიდან ქ. ქუთაისში გადაზიდვის მომსახურება, საერთო ღირებულებით 187.5 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

დავითი ნასარიძე ირაკლი სარიშვილი

KUTAISI

08.07.2015

MINISTRY OF JUSTICE

IDGEO13IN13816660002009202<<<<
7203110M2507086GEO<<<<<<<<<<<7
NASARIDZE<<DAVID<<<<<<<<<<<<<<

GEO

DAVID

NASARIDZE

GEO 33 / M 60002009202

11.03.1972 08.07.2025

13IN13816